

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი # 1

ქ. ნინოწმინდა

16.08.2018 წ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. ალექსანდრე მიქელაძე – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, მერის პირველი მოადგილე;
2. საიათ მკოიან – სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;
3. ანდრანიკ ქსპოიან – სატენდერო კომისიის წევრი – იურიდიული სამსახურის უფროსი;
4. არარატ დარბიანი – ინფრასტრუქტურის, სივრცით მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი სპეციალისტი – კომისიის წევრი;
5. ეკატერინე ოქრომელიძე – სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი – სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი;
6. ტიგრან ალვანჯიან – სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

არ ესწრებოდა შვებულებაში ყოფნის გამო: სოს ზდოიან – სატენდერო კომისიის წევრი - ზედამხედველობის და რეაგირების სამსახურის განყოფილების უფროსი;

**დღის წესრიგი:** ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიგრაშენში წყალსადენი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით მომზადებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების დამტკიცება.

**მოისმინეს:** სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მიქელაძემ კომისიას გააცნო ინფრასტრუქტურის, სივრცითმოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მოწოდებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის პროექტი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯიგრაშენში წყალსადენი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე (CPV-45300000). პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 4 000 (ოთხი ათასი) ლარი დამატებითი ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით.

**აზრი გამოთქვას:** სატენდერო კომისიის წევრებმა იმსჯელეს შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ აღწერილობაზე, სატენდერო დოკუმენტაციის პროექტში გათვალისწინებულ პირობებზე და მისაღებად ჩათვალეს სატენდერო დოკუმენტაციისა და განცხადების პროექტი.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ ალექსანდრე მიქელაძემ აღნიშნა, რომ ელექტრონული ტენდერი გამოცხადდება დღგ-ს გარეშე. პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების შეფასებაც მოხდება დღგ-ს გარეშე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის იქნება დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, დღგ-ს თანხა გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებაში.

ასევე სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) წესით გამოცხადებაზე.

**დაადგინეს:**

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, უზრუნველყოს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და თანხმობის მიღების შემდეგ ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე:



/ალექსანდრე მიქელაძე/

თავმჯდომარის მოადგილე



/საიატ მკოიან /

კომისიის წევრი



/ანდრანიკ ქსპოიან

კომისიის წევრი



/სოს ბდოიან/

კომისიის წევრი



/არარატ დარბინიან /

აპარატის უფროსი



/ეკატერინე ოქრომელიძე/

აპარატის წევრი



/ტიგრან ალვანჯიან /